

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N27

12.03.2019
16:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათ დარბაზი

მიმდინარე წლის 12 მარტს, 16:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ.თბილისის საკრებულოს წევრები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია ბითაძე, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ალექსანდრე ტოგონიძე, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-ს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა -გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-031906554-03; 06.03.2019) (მომხსენებელი - მაია ბითაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე);

სხდომა წარიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების და სატრანსპორტო საკითხთა, კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხამე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწოდებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შოადგილემ საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დადგენილების პროექტი

მთავრად (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შოადგილე)- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის 19 თებერვლის კომისიის სხდომის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-სთან ერთად გადაამუშავა გენერალური გეგმა, გაითვალისწინა საკრებულოს, არასმთავრობო და სამოქალაქო სექტორის, შენიშვნები და წინადადებები, რის შედეგადაც წარმოგიდგინებთ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დადგენილების პროექტის საბოლოო ვარიანტს თანდართული დოკუმენტებით და სტრატეგიებით. ასევე განაშენიანების რეგულირების წესებს, რომელიც აუცილებელია გენერალური გეგმის აღსრულებისთვის. გენერალური გეგმა მტკიცდება მისი ნორმატიული ფორმის გათვალისწინებით, აღნიშნული ეფუძნება ექვს ტომს, რაზეც ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-მ სამი წლის განმავლობაში იმუშავა მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, რაც ასახულია გენერალური გეგმის ნორმატიულ ნაწილში, რომელიც ჩაანაცვლებს მოქმედ - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებას. გენერალური გეგმა, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, გახლავთ აგებული სამ ძირითად პრინციპზე მწვანე, შეკავშირებული და კომპაქტური ქალაქი. ეს განაპირობებს იმას, რომ სამომავლოდ არ შეფერხდეს განვითარება მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, სწორი ურბანული და სატრანსპორტო სტრატეგიების გათვალისწინებით. გენერალურ გეგმას თან ახლავს სამოქმედო სტრატეგიების კონკრეტული ჩამონათვალი მიმართულებების მიხედვით, მათ შორის ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის კუთხით, რომელიც მთლიანად ეფუძნება გენერალური გეგმის პოსტულატებს, ასევე ეფუძნება „ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი“-ს (EBRD) მიერ მომზადებულ მწვანე ქალაქის სტრატეგიას, რომელიც უკვე დამტკიცებულია. ასევე ქალაქის მედეგობის სტრატეგიას, რომელიც დამუშავების სტადიაშია და საბოლოოდ ქალაქგეგმარების ოცდაცამეტი მიმართულების განვითარებას, ეკონომიკის სფეროს თერთმეტი განსახორციელებელი აქტივობის მომზადებას, ტრანსპორტის კუთხით თხუთმეტამდე დოკუმენტის შემუშავებას, გარემოს დაცვის კუთხით ათამდე დოკუმენტის შემუშავებას და არაერთ სხვა პროექტს ითვალისწინებს. ეს სტრატეგიები მომავალი ათი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს, რათა გენერალურმა გეგმამ სწორად იფუნქციონიროს. ახალი ხედვა, რაც გენერალური გეგმის ტექსტუალურ ნაწილში არის ასახული გამოიხატება განაშენიანების მიდგომებში, ურბანული განაშენიანებისა და განვითარებისთვის, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს გაუნაშენიანებელ და განაშენიანებულ ტერიტორიებს, ასევე გეოლოგიურად აქტიურ და სეისმურად საშიშ ზონებს, მოიცავს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ლანდშაფტურ ზონებს, ასევე ჰიდროლოგიური და სანიტარული დაცვის არელებს, რაც წლების განმავლობაში იგნორირებული იყო ურბანული განვითარების კუთხით,

რომ არაფერი ვთქვათ სატრანსპორტო კავშირებზე, მთელი რიგი პრობლემები სწორედ აქედან გამომდინარეობს, საცობებისა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის კუთხით. არასწორი ურბანული განაშენიანება ერთ-ერთი ფაქტორია, რაც თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე აისახა და ქალაქის გარკვეულმა ნაწილმა ფასი მნიშვნელოვნად დაკარგა. ის კონცეფცია და პოსტულატები, რაც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით არის განსაზღვრული ითვალისწინებს ქალაქის გადარჩენილი ნაწილის გაფრთხილებას და განუვითარებელი ნაწილის სწორ განვითარებას, რათა ქალაქის ეკონომიკური ღირებულება არ გაუფასურდეს. გენერალური გეგმის საბოლოო სამუშაოების ჩატარების შედეგად შენიშვნები იყო შიდა საუბნო გაძწვანებასთან მიმართებით, ახალი ვერსიით შეიქმნა უფლებრივი ზონირების რუკა, რომელიც განსაზღვრავს ოთხი ტიპის რეკრეაციას - სარეკრეაციო ზონა-1 (რზ-1), სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2), სარეკრეაციო ზონა-3 (რზ-3) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიხედვით დაემატება, სატყეო ზონა, რაც ძალიან დიდი წილს გადადგმული ნაბიჯია. ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-ს წარმოდგენილი გეგმის მიხედვით ქალაქმა 90-ანი წლების შემდეგ პირველად შეძლო სატყეო ტერიტორიების ინვენტარიზაცია, რაც სრულად ესადაგება გენერალურ გეგმაში არსებულ ზონებს, ეს საშუალებას გვაძლევს თამამად ვთქვათ, რომ თბილისში სატყეო ზონები იდენტიფიცირებულია. რეკრეაციული ტერიტორიებისთვის ცალკე მომზადდა თემატური რუკა, რომელზეც აისახა სამი ტიპის რეკრეაცია. თემატური რუკები მომზადდა ასევე ხაზობრივი ნაგებობის ყველა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებით, აქ შედის ელექტრო გადამცემი ხაზები, სანიაღვრეები, საკანალიზაციო და სხვა სისტემები, რაც აქამდე არ მომზადდა და პრობლემებს ქმნიდა სარემონტო სამუშაოების პროცესში. გენერალურ გეგმაში ზუსტადაა მითითებული იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, სადაც განაშენიანებისას განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი, გვაქვს არეალები, რომელიც მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით უნდა განვითარდეს. ძირითადად საუბარია გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე, რადგან თბილისის გაუნაშენიანებელი ნაწილი 3-ჯერ დიდია ვიდრე განაშენიანებული ნაწილი. თითოეული ახალი ტერიტორიის განაშენიანება დაკავშირებულია შესაბამის სოციალურ ინფრასტრუქტურასთან, ქალაქის სატრანსპორტო მობილობის ზრდასთან, მუნიციპალური ტრანსპორტის მიწოდებასთან, ნარჩენების მართვასთან და სხვა მუნიციპალურ სერვისებთან. გენერალური გეგმით გათვალისწინებულია ყველა უბნის თანასწორი განვითარება. ტრანსპორტის მიმართულებით გენერალურ გეგმაში ასახულია საპროექტო არეალები, საბაგრო დერეფნების და სამომავლო გზების გათვალისწინებით. აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს დამატებით ორი კვლევა საერთაშორისო ურბანული/სატრანსპორტო საკონსულტაციო კომპანია „სისტრა“-ს (SYSTRA) მიერ. უახლოეს პერიოდში დაიწყება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების გამოცხადება იმ არეალების გამოსავლენად, სადაც საბაგროების განვითარება საზოგადოებრივ ტრანსპორტს შეემატება და დაკავშირებს გარკვეულ უბნებს. „აზიის განვითარების ბანკი“-ს (ADB) დახმარებით იწყება დეტალურად სატრანსპორტო არეალებთან დაკავშირებით სამუშაო პროცესი, რომელიც თორმეტ თვეში დასრულდება. ქალაქში საკმარისი ტერიტორიაა სწორი განვითარებისთვის. მოგეხსენებათ, რომ სამართლებრივი ცვლილებების პირველი ეტაპი წინ გადადგმული ნაბიჯია. ტექნიკური ცვლილებების გარდა აქცენტი გაკეთდა კ2-კოეფიციენტის გადამეტების აკრძალვაზე, როგორც განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) სამივე ზონაში, ასევე ინდივიდუალურ ნაკვეთებზე. გათვალისწინებული უნდა იქნეს, თბილისში არსებული შენობების ავარიულობა, რომელიც ყოველდღიურად მზარდია. აღნიშნულთან დაკავშირებით სახელმწიფოს განსხვავებული მიდგომა ესაჭიროება, საკანონმდებლო დონეზე ავარიული შენობების

ჩანაცვლებასთან მიმართებით. გენერალური გეგმის რეკომენდაციით ვარკეთილის მასივში იგეგმება კორპუსების ჩანაცვლების პროექტები, ასევე ორთაჭალოს ბაღებთან დაკავშირებით არის გეგმები, რაზეც მიმდინარეობს კვლევა. გენერალური გეგმის გათვალისწინებით დედაქალაქში ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელება იგეგმება.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომსახურებელმა დასძულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

მერაბ ზოლქვაძე - (ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-ს წარმომადგენელი) - მადლობა გვიხდა გადავუხადოთ ყველას ვინც კონსტრუქციულად იყო ჩართული საქუშაო პროცესში და წარმოადგინა შენიშვნები, ან განსხვავებული მოსაზრებები. ჩვენი აზრით დედაქალაქის ძინათსარგებლობის გენერალური გეგმა გახლავთ ლახდშაფტური, თავისუფალი, რეკრეაციული არელების დაცვის პროექტი, რომელიც გახლავთ შეზღუდვითი დოკუმენტი და ამ თვალსაზრისით ჩვენ მზად ვართ გავითვალისწინოთ სხვა მოსაზრებებიც. მნიშვნელოვანია დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ ყველამ ვიზრუნოთ მის განხორციელებაზე, ხელშეწყობაზე, რომ დავიცვათ და სწორად განვახორციელოთ თბილისი. გვაქვს შეთავაზებები მწვანე სივრცეების, რეკრეაციული არელების დაცვისა და რაიონული პარკების მშენებლობის კუთხით. ამ პროექტის ფარგლებში დამუშავდა აგლომერაციული ნაწილი, რომელიც განაპირობებს თბილისის მიმდებარე ტერიტორიების დაცვას და თავისუფალი არელების ხედვას. მზად ვართ მუდამ კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის და განსხვავებული წინადადებების მოსასმენად.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომსახურებელმა დასძულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) – დადგენილების პროექტის დანართი 5-ით გათვალისწინებული ქალაქგეგმარებისათვის აუცილებელი სტრატეგიები სამოქმედო გეგმების, პირველ ვერსიას როდესაც შევადარეთ ვნახეთ, რომ არის მცირე ცვლილება. მაგალითად მედეგობის სტრატეგიის შემუშავება 2019 წლითაა დათარიღებული, წინა ვერსიაშიც იყო, თუ არა და რას გულისხმობს აღნიშნული სტრატეგია კონკრეტულად? ასევე, პირველ ვერსიაში იყო და ამ ვერსიაში არ გვხვდება პოზიციონირების სტრატეგია, თუ შეგიძლიათ განმარტოთ ზუსტად რას გულისხმობდა და რატომ არ არის ახალ ვერსიაში? ჩაშლილად იყო გაწერილი მწვანე ლანდშაფტური დაგეგმარება, მაგალითად, ტყის სანიტარული ზონების კვლევა, რაც არაა ახალ ვერსიაში, რომ გვითხრათ სამოქმედო გეგმის ზოგადი ფუნქცია, როგორ წარმოგიდგენიათ მისი აღსრულება და როგორ შეძლებთ ყველა სტრატეგიაზე ერთდროულად მუშაობას.

მანია ბითაძე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე) - სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ეს არის კონტური იმისა, რაც პირველ ვარიანტში გვქონდა გაწერილი. თბილისის როკფელერის ფონდის პროექტის „100 მედეგი ქალაქი“-ს წევრია, ამ პლატფორმის დახმარებით ხორციელდება ძალიან ბევრი პროექტი, რომელიც უცვლელადაა წარმოდგენილი. სამოქმედო გეგმაში არსებული ქმედებები, რაც ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-მ პროექტის განმარტებით ბარათში მიუთითა, ჩვენ შევკრიბეთ და გადავთარგმნეთ იმ პროექტების ენაზე რასაც ვითხოვდით ჩვენი პარტნიორებისგან, სადაც ჩართული იყო ყველა სამსახური, აღნიშნულის სინერგია გავაკეთეთ მწვანე ქალაქის სტრატეგიასთან, რომელიც „ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა“ (EBRD) შეიმუშავა. ასევე მედეგობის

სტრატეგიასთან, ეს არაა უტოპიური სტრატეგიები ისე, რომ მხოლოდ ფურცელზე დარჩეს და არ აღსრულდეს თანმიმდევრულად.

კომისიების გაერთიანებული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორის და დაინტერესებული პირები რომლებმაც დასვეს კითხვები და საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“-ს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით.

კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ გადაწყვიტა:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის მნიშვნელობიდან, თანდარული მასალების მოცულობის გათვალისწინებით და რეკომენდაციების გადამუშავების მიზნით, საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად 15 მარტს 12:00 საათზე კომისიების გაერთიანებული სხდომის გამართვა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გიორგი ჩაკვეტაძე

